დადგენილება:**დ-31. 31230533**
თარიღი:**22/02/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №9

2023 წლის 22 თებერვალი

ქ. ლანჩხუთი

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge, 04/02/2021 წელი, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.112.016439) შევიდეს ცვლილება, კერძოდ: დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის“ მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 6. გამარჯვებული გუნდის ან/და ინდივიდუალური მონაწილის დაჯილდოება

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ საქართველოს ან/და რეგიონის მასშტაბით ორგანიზებული - საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების მონაწილე გამარჯვებული გუნდისა და ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) გუნდი: I ადგილი - 500 ლარი; II ადგილი - 300 ლარი; III ადგილი - 200 ლარი;

ბ) ინდივიდუალური მონაწილე: I ადგილი - 300 ლარი; II ადგილი - 200 ლარი; III ადგილი - 100 ლარი.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ საერთაშორისო მასშტაბით ორგანიზებული - საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების მონაწილე გამარჯვებული გუნდისა და ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) გუნდი: I ადგილი - 1500ლარი; II ადგილი - 1000 ლარი; III ადგილი - 800 ლარი;

ბ) ინდივიდუალური მონაწილე: I ადგილი - 900 ლარი; II ადგილი - 800 ლარი; III ადგილი - 700 ლარი.

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ საერთაშორისო მასშტაბით ორგანიზებული, ჭადრაკის, ჭიდაობისა და ფეხბურთის სპორტულ ღონისძიებებში გამარჯვებული გუნდისა და ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირი

ტურნირი, კატეგორია	I-ადგილი	II -ადგილი	III - ადგილი
8 წლამდე გოგოები	300 ლარი	200 ლარი	150 ლარი
8 წლამდე ვაჟები	300 ლარი	200 ლარი	150 ლარი
10 წლამდე გოგოები	300 ლარი	200 ლარი	150 ლარი
10 წლამდე ვაჟები	300 ლარი	200 ლარი	150 ლარი
12 წლამდე გოგოები	300 ლარი	200 ლარი	150 ლარი
12 წლამდე ვაჟები	300 ლარი	200 ლარი	150 ლარი

ტურნირი კატეგორია	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
მამაკაცთა შორის	900 ლარი	800 ლარი	700 ლარი	600 ლარი	500 ლარი	400 ლარი	300 ლარი	200 ლარი	150 ლარი	100 ლარი
ქალთა შორის	400 ლარი	300 ლარი	250 ლარი							
16 წლამდე გოგოებს შორის	320 ლარი									
16 წლამდე ვაჟთა შორის	310 ლარი									
14 წლამდე გოგოებს შორის	290 ლარი									
14 წლამდე	280 ლარი									

ვაჟთა შორის										
სენიორები	210 ლარი	160 ლარი								
ურეიტინგო მოთამაშეები	190 ლარი	140 ლარი								

მწვრთნელთა კონკურსი	I	II	III	IV	V
	500 ლარი	400 ლარი	300 ლარი	200 ლარი	150 ლარი

საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში ვაჟები; გოგონები

გამარჯვებული გუნდი

სხვადასხვა ასკობრივი კატეგორიაში-10წ11წ;12წ;13წ ;14წ;15წ 16წ 17წ ასაკის ვაჟები გამარჯვებული გუნდი I II III ადგილზე გასული	Iადგილი 1500ლ	II ადგილი 1000ლ	III ადგილი 800ლ
სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიაში 10წ;11წ;12წ;13წ;14წ;15წ 16წ 17წ ასაკის გოგოები.გამარჯვებული გუნდი I II III ადგილზე გასული	Iადგილი 1500ლ	II ადგილი 1000ლ	III ადგილი 800ლ

საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობაში ვაჟები ბერძნულ-რომაული; თავისუფალი სტილით

ტურნირი , კატეგროია	I-ადგილი	II -ადგილი	III - ადგილი
ჭაბუკები 15 წონითი კატეგორია.თითოეულ წონით კატეგორიში გამარჯვებული I II III ადგილზე გასული ინდივიდუალური მონაწილე	300 ლარი	200 ლარი	100 ლარი
უმცროს ჭაბუკთა შორის 10 წონითი კატეგორია.თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული I II	300 ლარი	200 ლარი	100 ლარი

III ადგილზე გასული ინდივიდუალური მონაწილე			

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2023 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი